საქართველოში ძუძუს კიბოს პრევენციის პროგრამის გამოწვევები და შესაძლებლობები

მაგისტრი ნანა მეგრელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა მეგრელიშვილი, 2024 წ ნ.მეგრელიშვილი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენა დაავადების პრევენციაში. დღევანდელ გარემოში იკვეთება საჭიროება დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საქართველოში არსებულ სკრინინგ პროგრამასთან დაკავშირებით რადგან საწყის ეტაპზე მოხდეს დაავადების აღმოჩენა. შესაბამისად, მოცემული კვლევის მიზანი იყო იმის დადასტურება, რომ სკრინინგის პროგრამის ინფორმირებულობის და მნიშვნელობის მაღალი დონე განაპირობებს მოსახლეობის მიმართვიანობა სკრინინგ ცენტრებში, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძუძუს კიბოს დამარცხებაში.

ძუძუს კიბო სკრინინგ პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც მიზნად ისახავს ძუძუს კიბოსთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას და დაავადების ადრეულ სტადიაზე აღმოჩენას.

კვლევის მიზანი იყო დადგენილიყო ქვეყანაში სკრინინგ პროგრამის მიმართ არსებული გამოწვევები. მნიშვნელოვანი ქალთა პოპულაციაში ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარდაცვალების მაჩვენებელს. ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში ქალები ერთვებიან თვითდინებით და ეს ვალდებულებას არ წარმოადგენს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო როგორ მუშაობს არსებული სკრინიგ პროგრამა, კერძოდ ძუძუს კიბოს სკრინინგი. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა ავტორის მიერ თვისებრივი და სამაგიდე კვლევის მეთოდები, რომელმაც ხელი შეუწყო გამოკვეთილიყო ძირითადი მიგნებები, რომლის საფუძველზეც გაიცა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები. განხილული ლიტერატურისა და პირისპირ ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები , რომლის დაძლევა შესაძლებელია სხვადასხვა უწყებების და დარგის ექსპერტების კოორდინირებული მუშაობით.

Abstract

This paper discusses early detection of breast cancer in disease prevention. In today's environment, there is a clear need to provide additional information about the existing screening program in Georgia to detect the disease at an early stage. Accordingly, the aim of this research was to confirm that high awareness and importance of the screening program determines the referral of the population to screening centres, which plays an important role in defeating breast cancer.

Breast cancer screening program is an important public health strategy to reduce breast cancer mortality and early detection of the disease.

The aim of the research was to identify the problems facing the screening program in the country. It is important to detect breast cancer at an early stage in the female population, which will significantly reduce the mortality rate. Women participate in the breast cancer screening program voluntarily and are not mandatory.

The aim of the research was to determine how the current screening program, particularly breast cancer screening, is working. To achieve the aim of the research, qualitative and desk research methods were used, which helped the author to identify key findings, according which the evidence-based recommendations were made. Based on the literature review and personal interviews, important problems were identified that can be overcome through coordinated work between different authorities and experts of the field.